დოკუმენტების ჩამონათვალი

**რომლებიც სავალდებულოა წარმოსადგენად,
ონბორდინგის პროცედურის გავლისთვის
საბროკერო კომპანია „Rioni Capital"-ში**

მოცემული დანართი შეიცავს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც სავალდებულოა კომპანიისთვის წარმოსადგენად, ონბორდინგის პროცედურის წარმატებით გავლისა და საბროკერო კომპანია „Rioni Capital"-თან საბროკერო ხელშეკრულების დასადებად.

დოკუმენტების ითვალისწინებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანებაში მითითებულ დოკუმენტებს.

კლიენტი ფიზიკური პირი:

1. **საიდენტიფიკაციო დოკუმენტი**
   a. **საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში** – საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა ან მართვის მოწმობა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა;
   b. **აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთისავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირის შემთხვევაში** – პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ პირს მინიჭებული აქვს მხოლოდ პირადი ნომერი, მისი ვერიფიკაცია უნდა მოხდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული ინფორმაციით.
   c. **უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში** – პასპორტი, ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ბინადრობის მოწმობა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ან/და საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს საბაჟო საზღვრის კვეთისთვის ნებადართული სხვა დოკუმენტი ან უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა;
   d. **მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში** – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგნეტოს მიერ გაცემული ბინადრობის მოწმობა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა ან სამგზავრო პასპორტი;

   დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ფოტოსურათს და იყოს მოქმედი.

2. **მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი**
   a. კლეინტმა უნდა დაადასტუროს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი. დამადასტურებელი დოკუმენტი შესაძოა იყოს:
      - იჯარის ხელშეკრულება,
      - კომუნალურების ქვითარი,
      - ბანკის ამონაწერი,

- მისამართზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი სახელმწიფოს მიერ გაცემული რელევანტური დოკუმენტი.

b. დოკუმენტის დათარიღებული უნდა იყოს მისი კომპანიისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 თვისა

3. SOF/SOW – შშემოსავლის წყაროსა და ქონების წყაროს დასადასტურებლად კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს რელევანტური დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- საბანკო ანგარიშის ამონაწერი,
- ქონების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი,
- ქონების რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი,
- მემკვიდრეობის მიღების დამადსტურებელი დოკუმენტი,
- ლატარიის ან/და აზარტული ტამაშების მოგების დამადასტურებელი დოკუმენტი,
- საგადასახადო ორგანოდან ამონაწერი და ა.შ.

4. კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს შესაბამის ფაქტს ან გარემოებას.

5. **წარმოდგენილი დოკუმენტები შედგენილი უნდა იყონ ქართულ ან ინგლისურ ენაზე.** იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია რომელიმე სხვა ენა დოკუმენტს უნდა თან ერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

კლიენტი იურიდიული პირი:

1. საიდენტიფიკაციო დოკუმენტები

a. **საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში** - ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

b. **სხვა იურისდიქციაში რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში** - ამონაწერი იურიდიულ პირთა შესაბამისი რეესტრიდან ან/და იურიდიული პირის რეგისტრაციისა და არსებობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი გაცემული მარეგისტრირებული ორგანოს მიერ.

იურიდიული პირის ვერიფიკაციის მიზნით მოპოვებული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ვერიფიკაციის დროისთვის არსებულ ამ წესით გათვალისწინებულ საიდენტიფიკაციო მონაცემებს და თარიღდებოდეს (დოკუმენტის გაცემის თარიღი) ვერიფიკაციამდე **არაუგვიანეს 12 თვისა.**

2. იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი

კლიენტი იურიდიული პირის და მისი ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის ვერიფიკაციის მიზნით წარმოსადგენია იგივე

დოკუმენტები რაც გვათვალისწინებულია კლიენტი ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალში.

3. **მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი**
   კლიენტი იურიდიული პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართი (დამადასტურებელი დოკუმენტი) შესაძოა იყოს:
   - იჯარის ხელშეკრულება,
   - კომუნალურების ქვითარი,
   - ბანკის ამონაწერი,
   - მისამართზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი სახელმწიფოს მიერ გაცემული რელევანტური დოკუმენტი.

4. SOF/SOW - შემოსავლის წყაროსა და ქონების წყაროს დასადასტურებლად კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს რელევანტური დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის: საბანკო ანგარიშის ამონაწერი, ქონების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი, ქონების რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, საგადასახადო ორგანოდან ამონაწერი, წინა წლის აუდიტირებული ანგარიშგება და ა.შ.

5. კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სხვა რაიმე ტიპის ფაქტის ან მტკიცებითი ძალის მქონე დოკუმენტი ან საბუთი.

6. **წარმოდგენილი დოკუმენტები შედგენილი უნდა იყონ ქართულ ან ინგლისურ ენაზე.** იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია რომელიმე სხვა ენა დოკუმენტს უნდა თან ერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

ინსტიტუციონალური კლიენტი:

1. **საიდენტიფიკაციო დოკუმენტები**
   a. **საქართველოში რეგისტრირებული პირის შემთხვევაში** - ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან; ან ამონაწერი აქციონერთა რეესტრიდან.
   b. **სხვა იურისდიქციაში რეგისტრირებული პირის შემთხვევაში** - ამონაწერი იურიდიულ პირთა შესაბამისი რეესტრიდან ან/და იურიდიული პირის რეგისტრაციისა და არსებობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი გაცემული მარეგისტრირებული ორგანოს მიერ.
   c. **მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის ასლი**.

   პირის ვერიფიკაციის მიზნით მოპოვებული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ვერიფიკაციის დროისთვის არსებულ ამ წესით გათვალისწინებულ საიდენტიფიკაციო მონაცემებს და თარიღდებოდეს (დოკუმენტის გაცემის თარიღი) ვერიფიკაციამდე **არაუგვიანეს 12 თვისა.**

2. **ინსტიტუციონალური კლიენტის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი**

ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის ვერიფიკაციის მიზნით წარმოსადგენია იგივე დოკუმენტები რაც გვათვალისწინებულია კლიენტი ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამონათვალში.

3. **მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი**
ინსტიტუციონალური პირის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართი (დამადასტურებელი დოკუმენტი) შესაძოა იყოს:
    - იჯარის ხელშეკრულება,
    - კომუნალურების ქვითარი,
    - ბანკის ამონაწერი,
    - მისამართზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი სახელმწიფოს მიერ გაცემული რელევანტური დოკუმენტი.

4. SOF/SOW - ინსტიტუციონალური კლიენტი ვალდებულია, პირველ რიგში, წარმოადგინოს - **წინა წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.**
ბროკერმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტი, , მათ შორის:
    - საბანკო ანგარიშის ამონაწერი,
    - საბროკერო ანგარიშის ამონაწერი,
    - კასტოდიანური ანგარიშის ამონაწერი,
    - საგადასახადო ორგანოდან ამონაწერი.

5. კლიენტის სადამფუძნებლო სტრუქტურისა და საქმიანობის მოდელის გათვალისწინებით, შპს „Rioni Capital“ უფლებამოსილია კლიენტის წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაუგზავნოს ინდივიდუალური დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც სავალდებულოა წარმოსადგენად.

6. **წარმოდგენილი დოკუმენტები შედგენილი უნდა იყონ ქართულ ან ინგლისურ ენაზე**. სხვა ენის გამოყენების შემთხვევაში, დოკუმენტს სავალდებულოდ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ან ინგლისურ ენაზე.